TAV
Georgia

თარიღი : 01 / 06 / 2021
ნომერი : TAV.GM.6907

შპს „სოლოს" დირექტორს
ბატონ გოგა ოსეფაშვილს
ტელეფონი: 597 99 84 84

ბატონო გოგა,

თქვენი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.08.17.818) მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მასზე მიწის ზედაპირიდან + 8.0 მეტრი სიმაღლის შენობის აშენება დასაშვებია.

პატივისცემით,

ალფ ერ თუნგა ერსოი
გენერალური მენეჯერი

LLC "TAV URBAN GEORGIA" * 206203491 *

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01212003501**
თარიღი: **19/07/2021**
პინი: **7533**

ადრესატი: გიორგი სისვაძე
პირადი ნომერი: 01001071311
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 30, ბინა 129

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2021 წლის 14 ივლისის №01211953117-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2021 წლის 14 ივლისის №01211953117-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.08.17.818) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/RSueTjCGiXFKx4m

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 1 21 01888819

20/07/2021

მოქ: დარბაიძე ვასილი

ქ. თბილისი, III მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 40, ბინა 26
თქვენს 2021 წლის 20 ივლისის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

ბატონო ვასილ,

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ ქ.თბილისი, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 81.08.17.818) სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (2021 წლის 19 ივლისის (16-01212003501) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით



საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

- 1.21.2 1 ცალი
- 1.21.3 1 ცალი
- 1.26 8 ცალი
- 3.20 4 ცალი
- 3.24 4 ცალი
- 3.24 4 ცალი
- 3.31 4 ცალი
- 4.2.1 1 ცალი
- 4.2.2 1 ცალი
- ყვითელი ციმციმა 4 ცალი
- სამშენებლო ღობის განივი კვეთი (1.00; 3.00)
- საავტომობილო გზა
- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზი
- ქვეითთა გადაადგილება
- სამშენებლო ლენტი
- მოსაწყობი სამშენებლო ღობე
- 4 მედროშე

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო (ს/კ 81.08.17.818)

დამკვეთი	შეასრულა	ინდ. მეწარმე - მცირე მეწარმე გიორგი სისვაძე (პ/ნ 01001071311)			
შპს "სოლო"	ტელეფონი	+995557307595	+995579110925		
	ელ. მისამართი	sisvadze91@gmail.com			
	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	1	3	A 3	1:700	04.07.2021

სამშენებლო ღობის მონტაჟის და დემონტაჟის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა



საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები

1.26	8 ცალი
3.20	4 ცალი
20 3.24	4 ცალი
40 3.24	4 ცალი
3.25	4 ცალი
ყვითელი ციმციმა	4 ცალი
3.00 / 1.00	სამშენებლო ღობის განივი კვეთი
	ქოლგა
	საავტომობილო გზა
	საპროექტო ტერიტორია
	საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზი
	ქვეითთა გადაადგილება
	სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება
	მოსაწყობი სამშენებლო ღობე
	2 მედროშე

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო (ს/კ 81.08.17.818)

დამკვეთი	შეასრულა	ინდ. მეწარმე - მცირე მეწარმე გიორგი სისვაძე (პ/ნ 01001071311)	
შპს "სოლო"	ტელეფონი	+995557307595	+995579110925
	ელ. მისამართი	sisvadze91@gmail.com	

ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
2	3	A 3	1:700	04.07.2021

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა





საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები





პანდუსები შშმ პირებისათვის
სიგრძე - 1.7 მ
სიგანე - 1 მ
დახრა - 5%

ქუჩის განივი კვეთი საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ



მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ღილო (ს/კ 81.08.17.818)

დამკვეთი	შეასრულა	ინდ. მუწარმე - მცირე მუწარმე გიორგი სისვაძე (პ/ნ 01001071311)			
შპს "სოლო"	ტელეფონი	+995557307595			+995579110925
	ელ. მისამართი	sisvadze91@gmail.com			
	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	3	3	A 3	1:600	04.07.2021

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39448537025621

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210652815

რეგისტრაციის თარიღი

25.06.2021 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, ბინა №40
ტელეფონი: 270-48-73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდახუთ ივნისს, მე თამარ კობახიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი #5, ბ. 40 მომმართა ავთანდილ გაბედავამ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მიმნდობი პირის პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ავთანდილ გაბედავამ (დაბ. 03.07.1980წ, მის: თბილისი თემქა X"ა" კვ. კორ. 41 ბ. 26, პ/ნ 01021005674, პ/ნ 10CC41300, გაც: 18.07.2012წ) მომმართა. მან განაცხადა, რომ არის შპს ,,სოლო''-ს (ს/კ 406277265) დირექტორი. უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რ/ნ B21050930. მე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მანაც წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ავთანდილ გაბედავამ (დაბ. 03.07.1980წ, მის: თბილისი თემქა X"ა" კვ. კორ. 41 ბ. 26, პ/ნ 01021005674, პ/ნ 10CC41300, გაც: 18.07.2012წ), როგორც შპს ,,სოლო''-ს (ს/კ 406277265) დირექტორმა, ამ მინდობილობით მამუკა კაპანაძეს (დაბ: 03.03.1986წ, პ/ნ 01029014924) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მამუკა კაპანაძე უფლებამოსილია შპს ,,სოლო''-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ს/კ 81.08.17.818) დაკავშირებით სრულად იმოქმედოს არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, ახალი მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მიიღოს ნებართვები, მიღოს სპეც. ნებართვები, აზომოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დააკორექტიროს, დააზუსტოს, მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები.

იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანეობში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

წარადგინოს განცხადებები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მიიღოს სპეც. ნებართვები, აწარმოოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონულად დოკუმენტები, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, განაშენიანების რეგულირების გეგმა, გადაავადოს ნებართვები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც საჭირო იქნება ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ოთხი თვის ვადით და ძალაშია 2021 წლის ოცდახუთი ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში, თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა ავთანდილ გაბედავა

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე

